სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება №40-070016-03

ქ. თბილისი 07 ივნისი, 2016 წ.

ერთის მხრივ, სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში გივი ბახტაძის სახით და მეორეს მხრივ, [illegible] "[illegible]" (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის [illegible] სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ხ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
1.1. ამ ხელშეკრულების საგანია, შემსყიდველის შეკვეთით ნაბეჭდი მასალის, კერძოდ ბუკლეტების (შემდგომში „საქონელი") მიწოდება (CPV 22458000).
1.2. საქონლის მახასიათებლები, ზომები, რაოდენობა, ფასები და ვიზუალური გამოხატულება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში (ფასების ცხრილი) რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები
2.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით [illegible] ვალდებულების დროულად და სრულად შესრულება.
2.2. "შემსყიდველი" ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით;
2.3 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია, მოსთხოვოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით [illegible] ვალდებულების დროულად და სრულად შესრულება.
2.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია, მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო [illegible] და მასთან დაკავშირებული აუცილებელი დოკუმენტაცია;

3. "საქონლის" მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები
3.1 ,,შემსყიდველი" ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დღესვე გადმოცემს „მიმწოდებელს" დასაბეჭდი ბუკლეტების ელექტრონული ვერსია;
3.2 მიმწოდებელი ვალდებულია, საქონლის მიწოდება განახორციელოს არაუგვიანეს 2016 წლის 9 ივნისისა.
3.3. „საქონლის" მიწოდებას უზრუნველყოფს „შემსყიდველი" საკუთარი ხარჯებით. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი; ვანის ქ. N4.
3.4. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.
3.5. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 350.00 (სამასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
3.6. ანგარიშსწორების განსახორციელებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტ(ებ)ი:
- სასაქონლო ზედნადები.
- საგადასახადო ანგარიშფაქტურა.
3.7. ანგარიშსწორება წარმოებს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად. უსაფუძვლო ანგარიშსწორების ფორმით, 3.6. პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუადრეს 8 და არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
4.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებულ საქონელს არ გააჩნია ნაკლი.
4.1.1. ნაკლის არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი თავისი ხარჯით და პასუხისმგებლობით უზრუნველყოფს მის აღმოფხვრას შემსყიდველის მიერ ნაკლის გამოვლენის თაობაზე მისთვის (მიმწოდებლისათვის) გაგზავნილი შეტყობინების (ტელეფონით/ელექტრონული ფოსტით, მიღებიდან [illegible] იმავე სამუშაო დღისა. ნაკლის აღმოფხვრა უნდა მოხდეს საქონლის ახალით შეცვლით.
4.1.2 იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" ვერ უზრუნველყოფს ნაკლის აღმოფხვრას, შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს "მიმწოდებელს ნაკლიანი საქონლის ღირებულების პირგასამტეხლოს გადახდა, რაც "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" მიერ მისთვის (მიმწოდებლისათვის) პირგასამტეხლის დაკისრების თაობაზე წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ორი კალენდარული დღისა უნდა გადაიხადოს.
4.2. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
4.3. ნაკლიანი ,,საქონლის" მიწოდების შედეგად ,,შემსყიდველისთვის", ან შესაძლო მხარისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს".

4.4. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან **არაჯეროვანი** შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

4.5. ,,**საქონლის**" მოწოდების დაყოვნების შემთხვევაში "მიმწოდებელი" ვალდებულია გადაუხადოს ,,შემსყიდველს" პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

4.6. ,,შემსყიდველის" მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს" უფლება აქვს დააკისროს ,,შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

4.7. "მიმწოდებლის" მიერ პირგასამტეხლოს გადახდა, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

5. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

5.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

5.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

5.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. "შემსყიდველს" ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელონ "საქონლის" კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი.

6.2. "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებისა და მისი დანართ(ებ)ის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს "შემსყიდველის" მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

6.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

6.3.1. საქონლის მოცულობის, ხარისხისა და ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

6.3.2. შეამოწმოს საქონელი მის მიღებამდე და უხარისხობის შემთხვევაში უარი თქვას მის მიღებაზე;

6.3.3. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

6.4 ყოველი გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს".

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით მემორანდუმის სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

7.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 11 აგვისტოს **ჩათვლით.**

8.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

9.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ:

ა. რომელიმე მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა და არ/ვერ აღმოფხვრა აღნიშნული დარღვევა იმ ვადაში, რა ვადაც მითითებული იყო მეორე მხარის მიერ დარღვევის აღმოფხვრის შესახებ გაგზავნილ წერილობით მოთხოვნაში.

ბ. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

გ. სსკ 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

9.3 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას შემსყიდველის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

10. დავების გადაწყვეტა, მარეგულირებელი სამართალი

10.1 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს სასამართლოში.

10.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. დასკვნითი დებულებები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის ხორციელდება წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

11.4 ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ს/კ: 206237491 საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE80BG0000000145770000 **დირექტორი ფინანსურ საკითხებში** გივი ბახტაძე	**მიმწოდებელი** შპს "ვესტა" მის: ქ. თბილისი, ვანის ქ N4 ს/კ: 202159788 ტელ: 574550110 Mail: info@vesta.ge სს "საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE63BG0000000123845700 **დირექტორი** ალექსანდრე [illegible]

დანართი N1

N	CPV	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზ.	რაოდ.	ერთეულის ფასი	ღირებულება (ლარი)	მიწოდების (ვადა) თარიღი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	22458000	ბუკლეტი	ბუკლეტის ზომა 22 X 15; ოფსეტური ბეჭდვა, შიდა გვერდები 120გრ. ყდა 300 გრ, პრიალა ლამინაციით ჯამში12 გვერდი.	ცალი	100	3,50	350	ორი კვირის 2015 წლის 9 ოქტომბრამდე
						სულ	350.00	დღგ-ს ჩათვლით

მიმწოდებელი
შპს "ვესტა"

დირექტორი

ვლადლენა გაიავეცი

ხელწერილი

07.06. 2016 წ.

ხელშეკრულება N40-070616-03

მიმწოდებელი: შპს „ვესტა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 202159788

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, წინამდებარე ხელწერილის შედგენით ვადასტურებთ, რომ ვეცნობით ხელშეკრულების პირობებს და ვეთანხმებით (ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში).

ასევე, ვადასტურებთ, რომ აღნიშნულ შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ნათია ბლუაშვილი _____

თამარ გურგენიძე _____

ვახტანგ ხელაძე _____

მერაბ დადუნაშვილი _____

ლევან ჩხეიძე _____

ინგა ხუციშვილი _____